ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5317572

ნომერი: AR1808194

თარიღი : 07.03.2021

გაცემის თარიღი : 09.03.2021

გაცნობის თარიღი : 10.03.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 59 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 41სა და N59-ს შორის, , ქუჩა კოსტავას N59 , ქუჩა კოსტავას 41/ბოცვაძე (ყოფ.ადლერი) N2.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა თაბაგარი პ/ნ 01001012443
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 15 ბ. 88

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ელგუჯა ცინცაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს გრანატ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405068000
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შომუროდ ილიასოვ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: AA2908332 (უზბეკეთი)

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3284235
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.05.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N59/კოსტავას ქ. N59-სა და კოსტავას ქ. N41-ს შორის , კოსტავას ქ. N59, კოსტავას ქ. N41/ბოცვაძის (ყოფ. ადლერი) N2-ში შ.პ.ს. ,,გრანატ''-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოების ნებართვის ვადის გაგრძელების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ: თქვენს მიერ წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალით დგინდება, რომ მშენებლობა მიმდინარეობს შეთანხმებული პროექტიდან გადაცდენებით. იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხის განხილვის შესაძლებლობა, საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ შეთანხმებული პროექტის ცვლილებაზე და დაკორექტებული საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთოთ შესაბამის ნომენკლატურაში. დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.